განკარგულება:**g-37.37222785**
თარიღი:**05/10/2022**

განკარგულება N50

05 ოქტომბერი 2022 წელი

ქ. ოზურგეთი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონჭკათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.03.14.175), დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.29.24.126), გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.06.25.408) და ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.15.10.363) უძრავი ქონებების სახელმწიფოსათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის და 108-ე მუხლის თანახმად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

მუხლი 1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული კონჭკათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.03.14.175), დაბა ნასაკირალის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.29.24.126), გურიანთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.06.25.408) და ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე (ს.კ. 26.15.10.363) უძრავი ქონებები გადაეცეს, უსასყიდლოდ, საკუთრებაში სახელმწიფოს.

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

მუხლი 3. ეს განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი